ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №09

06 მაისი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:
1. ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების განხილვა.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა მიერ, ერთხმად, მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი** და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ცვლილება პოზიტიურია და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის დაფინანსებას ითვალისწინებს. დადგენილების პროექტის თანახმად, თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის საფასურს ვუფინანსებთ, ასევე თბილისში რეგისტრირებულ წარჩინებულ მაგისტრანტებზე, რომლებიც სწავლობენ თბილისში მოქმედ სახელმწიფო უნივერსიტეტებში გავცემთ თბილისის მერიის სტიპენდიას. ამ პროგრამის ბიუჯეტი 2021 წელს გავაორმაგეთ და მხოლოდ 2021 წელს საერთო ჯამში 4000-მდე სტუდენტს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა. კახა ლაბუჩიძემ დამატებით განმარტა, რომ

საკრებულოს ამ დადგენილების მიღებით, მნიშვნელოვნად გაიზრდება თბილისის მუნიციპალიტეტის როლი ახალგაზრდობის განათლების სოციალური პოლიტიკის განხორციელების გზაზე; ეს გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმასა, რომ თბილისის მერიისა და საკრებულოსთვის განათლების ხელმისაწვდომობა პრიორიტეტულია.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ირაკლი გვილავას, რომელმაც დეტალურად განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები. ირაკლი გვილავას განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამას „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) შეეცვალა სახელი და მისი სახელწოდებაა „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“. შესაბამისად, საჭიროა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესების შესაბამის მუხლებში ქვეპროგრამის სახელი შეიცვალოს.

მოქმედი დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, ემატება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები, შესაბამისად, ცვლილების მიღების შემდეგ, აღნიშნული წესის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან ერთად, დაფინანსდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 10/02/2021; N280080020.35.101.016822) და დადგენილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი", დანართის 1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესი", დანართი 2-ის შესაბამისად.";

გ) პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი";

გ.ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი" (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული სტუდენტების წახალისების წესსა და პირობებს.";

გ.გ) პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაფინანსება გაიცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში.";

„4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებაზე, რომლისთვისაც თანხა გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამაში „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.";

დ) პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 2 ყალიბდება შემდეგნაირად:

დანართი 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „სტუდენტების დაფინანსების წესი" (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსების წესსა და პირობებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებაზე, რომლისთვისაც თანხა გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ქვეპროგრამაში „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხის ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სოციალურად დაუცველი სტუდენტი** - საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სოციალური მომსახურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან" ამონაწერში ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მითითებულია ქალაქი თბილისი.

ბ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი** - საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის მომენტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში რეგისტრირებული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი;

გ) **მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი** - საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის მომენტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში რეგისტრირებული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის

პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახის წევრი;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ან/და სასწავლო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულება;

ე) **დაფინანსება** - ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის გადახდა (დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი), წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 2250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარის, ხოლო ერთი სემესტრის განმავლობაში არაუმეტეს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარის;

ვ) **ქვეპროგრამა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამა „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03).

მუხლი 3. დაფინანსების მოპოვების ეტაპები

დაფინანსების მოპოვების ეტაპებია:

ა) განცხადების წარდგენა;

ბ) წარდგენილი განცხადების ამ წესთან შესაბამისობის დადგენა;

გ) სტუდენტის დაფინანსება.

მუხლი 4. განცხადების წარდგენის ვადების განსაზღვრა და განცხადების წარდგენა

1. დაფინანსების მოთხოვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისთვის (შემდგომში - სამსახური) განცხადებით მიმართვა შეუძლია სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრ სტუდენტს.

2. სამსახურში განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით.

3. სოციალურად დაუცველმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა სტუდენტმა დაფინანსების მისაღებად, განცხადებით უნდა მიმართოს სამსახურს, სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და განცხადებას თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ) სოციალურად დაუცველი სტუდენტის შემთხვევაში - ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან", შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის შემთხვევაში - სტატუსის დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან;

გ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის და წლიური გადასახადის შესახებ;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი, წინა სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ;

ე) იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის შემთხვევაში-დოკუმენტი, დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები/ანგარიშფაქტურა;

ზ) ამონაწერი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი არ ვრცელდება პირველი სემესტრის სტუდენტებზე.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი არ ვრცელდება სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე.

მუხლი 5. წარდგენილი განცხადების ამ წესთან შესაბამისობის დადგენა

1. დაფინანსების ადმინისტრირებას ახორციელებს სამსახური.

2. სამსახური განიხილავს განცხადებას და ადგენს განცხადების ამ წესთან შესაბამისობას.

3. განხილვას არ ექვემდებარება განცხადება, რომლითაც სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი ითხოვს დამატებითი სემესტრის დაფინანსებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის მიერ დამატებითი სემესტრის გავლა გამოწვეულია ჯანმრთელობის მდგომარეობის, აკადემიური შვებულების, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის, საზღვარგარეთ სწავლის, ფინანსური დავალიანების გამო და აღნიშნული დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

4. სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში განცხადება არ განიხილება.

მუხლი 6. დაფინანსების გაცემა

1. დაფინანსება გაიცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის ხორციელდება სემესტრული სწავლის საფასურის დაფინანსება, სტუდენტის მოთხოვნისა და ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

3. ქვეპროგრამის ფარგლებში, პირველი სემესტრის სტუდენტები იღებენ სემესტრული თანხის არაუმეტეს 50%-იან დაფინანსებას, ამ წესის მე-2 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო თუ პირველი სემესტრის სტუდენტს აქვს მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული

შეზღუდვის სტატუსი, დაფინანსდება სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%-ით, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის გამოყოფილი თანხა გაიცემა სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ.

5. სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის მიერ, სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამსახური ამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის წერილს, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

6. სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსებისათვის თანხა გაიცემა შემდეგნაირად:

წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკული	დასაფინანსებელი თანხის ოდენობა
90-ზე მეტი - 100 ქულის ჩათვლით	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 150 000-ის ტოლი ან ნაკლები. • მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის.
70-ზე მეტი- 90 ქულის ჩათვლით	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 70 000-ს; • მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის; ასევე, სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ის ტოლი ან ნაკლები;

	• მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის.
ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე	სემესტრული თანხის არაუმეტეს 50%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ტოლია ან ნაკლებია 150 000 -ის; •მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის; ასევე, სემესტრული თანხის არაუმეტეს 70 %, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტებისთვის.

7. თუ სტუდენტს აქვს ამ წესით გათვალისწინებული ორი ან მეტი სოციალური სტატუსი, სტუდენტი დაფინანსდება იმ სტატუსის მიხედვით, რომელიც მოიცავს სწავლის დაფინანსების უფრო მაღალ პროცენტს.

მუხლი 7. დაფინანსების დაბრუნების წესი

თუ არ მოხდება ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული სტუდენტის მიერ, მისთვის გამოყოფილი დაფინანსების ათვისება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო სემესტრის ბოლოს აბრუნებს მიღებულ თანხას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას სიტყვის დასრულების შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

დღის წესრიგის განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: კახაბერ ლაბუჩიძემ, თინათინ ნიბლოშვილმა და გიორგი შარაშიძემ.

კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე დაინტერესდა შემდეგი საკითხით: დაფინანსება შეეხება მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, თუ კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც ეხება წარმოდგენილი ცვლილება, რაზეც გოგი ჩიქოვანმა განმარტა, რომ წარჩინებული მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსება ხორციელდება, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული სტუდენტებზე, ხოლო სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება აგრეთვე შეეხება, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ან/და სასწავლო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების სტუდენტებზე, ვინც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

გიორგი შარაშიძე აგრეთვე დაინტერესდა, თუ როდის ამოქმედდებოდა აღნიშნული ცვლილებები, რაზეც განემარტა, რომ საკრებულოს მიერ დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების შემთხვევაში, სტუდენტებს დაფინანსების მოთხოვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისთვის განცხადებით მიმართვა მაისში შეეძლებათ.

კომისიის წევრმა, თინათინ ნიბლოშვილმა იკითხა, თუ რა მოცულობითა და ოდენობით მოხდებოდა სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსება, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის გადახდა განხორციელდება წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 2250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარით, ხოლო ერთი სემესტრის განმავლობაში არაუმეტეს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარით. თუ სტუდენტს აქვს მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის სტატუსი, დაფინანსება, ნაცვლად 50%-ისა, მოხდება სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%-ით, რაც განპირობებულია, მათი ქმედუნარიანობისა და სწავლის უნარის შეზღუდვის სიმძიმით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს ამ წესით გათვალისწინებული ორი ან მეტი სოციალური სტატუსი, სტუდენტი დაფინანსდება იმ სტატუსის მიხედვით, რომელიც მოიცავს სწავლის დაფინანსების უფრო მაღალ პროცენტულ ნიშნულს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომაზე დამსწრეთა სრული უმრავლესობით **დაადგინა:** კომისია დადებითად აფასებს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა